# კავკასიის მაცნე

# КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК

# CAUCASIAN MESSENGER

## №13

თბილისი – ТБИЛИСИ – TBILISI
2005

# კავკასიის მაცნე

# КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК

# CAUCASIAN MESSENGER

## №13

თბილისი – ТБИЛИСИ – TBILISI
2005

ალმანახის **კავკასიის მაცნე** დამაარსებლები:
Основатели альманаха **КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК**:
**CAUCASSIAN MESSENGER** is founded by:

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**
**НАЦИОНАЛЬНАЯ ПАРЛАМЕНТСКАЯ БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ**
**NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

**კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია**
**МЕЖДУНАРОДНАЯ АССОЦИАЦИЯ КАВКАЗОВЕДОВ**
**INTERNATIONAL ASSOCIATION OF CAUCASIOLOGISTS**

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. Ив. ДЖАВАХИШВИЛИ**
**Iv. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

**მოსკოვის სახელმწიფო ლინგვისტური უნივერსიტეტი**
**МОСКОВСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ**
**MOSCOW STATE LINGUISTIC UNIVERSITY**

ალმანახი **კავკასიის მაცნე** იბეჭდება ფირმა **ფილიპ მორისის** საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური ხელშეწყობით
**Альманах КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК издается при финансовой поддержке Представительства фирмы ФИЛИП МОРРИС в Грузии**
**CAUCASIAN MESSENGER is published by the financial support of PHILIP MORRIS Management Services B.V. Tbilisi Representative Office**

PHILIP MORRIS MANAGEMENT SERVICES B.V.
TBILISI REPRESENTATIVE OFFICE

**ISSN 1512-0619**

*რედაქტორი:* ვ. კიკილაშვილი *(თბილისი),*
*რედაქტორის მოადგილეები:* მ. ალექსეევი *(მოსკოვი),* ე. შეიხოვი *(მოსკოვი)*
*სწავლული მდივანი:* მ. ერქომაიშვილი (*თბილისი*)
*ტექნიკური რედაქტორი და დიზაინერი:* ი. რახმაკოვა (*თბილისი*)

**სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო:** ზ. აბაშიძე *(თბილისი),* გ. ასკერხანოვი *(მახაჩყალა),* ლ. ბერძენიშვილი *(თბილისი),* გ. ბოჭორიშვილი *(თბილისი),* თ. ბუკია *(თბილისი),* ნ. ბუკია *(თბილისი),* პ. ბუხრაშვილი *(თბილისი),* თ. გამილაგდაშვილი-გაგუა *(ბილბაო),* მ. ვაჩნაძე *(თბილისი),* მ. ვაპაბოვი *(მოსკოვი),* ქ. ვივიანი *(კემბრიჯი),* ს. ზაბიტოვი *(მოსკოვი),* გ. თევზაძე (*თბილისი*), გ. თოფურია *(თბილისი),* მ. იობი *(მარბურგი),* ჯ. კაშია *(პარიზი),* ჯ. კვიციანი *(თბილისი),* ე. კოპალიანი *(თბილისი),* ც. კოჭლაშვილი *(თბილისი),* ო. მელაძე *(თბილისი),* ლ. მჭედლიშვილი *(თბილისი),* გ. ნადირაშვილი *(თბილისი),* მ. ოძელი *(თბილისი),* ტ. სიხარულიძე *(თბილისი),* ქ. ტუიტი *(მონრეალი),* ბ. უტიე *(პარიზი),* ლ. ღვინჯილია (თბილისი), მ. შენგელია *(თბილისი),* ი. ჩანტლაძე *(თბილისი),* ვ. ჩერნი *(პრაღა),* ა. ჩიტიძე (თბილისი). ი. ხალეევა *(მოსკოვი),* გ. ხუნდაძე *(თბილისი),* ე. ჯგერენაია*(თბილისი),* რ. ჯორბენაძე *(თბილისი)*

***Редактор:*** В. Кикилашвили ***(Тбилиси)***
***Зам. редактора:*** М. Алексеев ***(Москва)***, Е. Шейхов ***(Москва)***
***Научный секретарь:*** М. Эркомаишвили ***(Тбилиси)***
***Тех. редактор и дизайнер:*** И. Рахмакова ***(Тбилиси)***

**Научно-редакционный совет:** З. Абашидзе ***(Тбилиси)***, Г. Аскерханов ***(Махачкала)***, Л. Бердзенишвили ***(Тбилиси)***, Г. Бочоришвили ***(Тбилиси)***, Н. Букия ***(Тбилиси)***, Т. Букия ***(Тбилиси)***, П. Бухрашвили ***(Тбилиси)***, М. Вагабов ***(Москва)***, М. Вачнадзе ***(Тбилиси)***, К. Вивиан ***(Кембридж)***, Т. Гамилагдашвили-Гагуа ***(Бильбао)***, Л. Гвинджилиа ***(Тбилиси)***, Э. Джгереная ***(Тбилиси)***, Р. Джорбенадзе ***(Тбилиси)***, С. Забитов ***(Москва)***, М. Йоб ***(Марбург)***, Дж. Кашия ***(Париж)***, Дж. Квинциани ***(Тбилиси)***, Э. Копалиани ***(Тбилиси)***, Ц. Кочлашвили ***(Тбилиси)***, О. Меладзе ***(Тбилиси)***, Л. Мчедлишвили ***(Тбилиси)***, Г. Надирашвили ***(Тбилиси)***, М. Одзели ***(Тбилиси)***, Т. Сихарулидзе ***(Тбилиси)***, Г. Тевзадзе ***(Тбилиси)***, Г. Топурия ***(Тбилиси)***, К. Туит ***(Монреаль)***, Б. Утье ***(Париж)***, И. Халеева ***(Москва)***, Г. Хундадзе ***(Тбилиси)***, М. Шенгелия ***(Тбилиси)***, И. Чантладзе ***(Тбилиси)***, А. Читидзе ***(Тбилиси)***, В. Черни ***(Прага)***

***Editor:*** V. Kikilashvili ***(Tbilisi)***
***Deputy Editors:*** M. Alexeev ***(Moscow)***, E. Sheikhov ***(Moscow)***
***Secretary:*** M. Erkomaishvili ***(Tbilisi)***
***Technical Editor-Designer:*** I. Rakhmakova ***(Tbilisi)***

**Scientific Editorial Board:** Z. Abashidze ***(Tbilisi)***, G. Askerkhanov ***(Mahachkala)***, L. Berdzenishvili ***(Tbilisi)***, G. Bochorishvili ***(Tbilisi)***, N. Bukia ***(Tbilisi)***, T. Bukia ***(Tbilisi)***, P. Bukhrashvili ***(Tbilisi)***, I. Chantladze ***(Tbilisi)***, V. Cherny ***(Prague)***, A. Chitidze ***(Tbilisi)***, T. Gamilagdashvili-Gagua ***(Tbilisi)***, L. Gvinjilia ***(Tbilisi)***, E. Jgerenaia ***(Tbilisi)***, M. Job ***(Marburg)***, R. Jorbenadze ***(Tbilisi)***, J. Kashia ***(Paris)***, I. Khaleeva ***(Moscow)***, G. Khundadze ***(Tbilisi)***, E. Kopaliani ***(Tbilisi)***, Ts. Kochlashvili ***(Tbilisi)***, J. Kviciani ***(Tbilisi)***, O. Meladze ***(Tbilisi)***, L. Mchedlishvili ***(Tbilisi)***, G. Nadirashvili ***(Tbilisi)***, M. Odzeli ***(Tbilisi)***, B. Outtier ***(Paris)***, M. Shengelia ***(Tbilisi)***, T. Sikharulidze ***(Tbilisi)***, G. Tevzadze ***(Tbilisi)***,G. Topuria ***(Tbilisi)***, K. Tuite ***(Montreal)***, M. Vachnadze ***(Tbilisi)***, M. Vagabov ***(Moscow)***, K. Vivian ***(Cambridge)***, S. Zabitov ***(Moscow)***

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## პოლიტოლოგია

*ს. გოგილავა.* საქართველოს საარჩევნო სისტემა და პროცესები ........ 11
*რ. მამფორია.* ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველო ........ 14


## სოციოლოგია

*მ. ლობჟანიძე.* სოციალიზაცია და გენდერული უთანასწორობა ........ 17


## ფილოსოფია

*მ. ქავთარაშვილი.* იმიჯის მითი და რეალობა – თამაშის ფილოსოფია თუ ფილოსოფიური თამაში ........ 21
*მ. ქავთარაშვილი.* ომისა და მშვიდობის ფილოსოფია მასობრივი კომუნიკაციის პირობებში ........ 24
*თ. ორკოდაშვილი.* ხელოვნება, როგორც სიმბოლური ფორმა ე. კასირერის სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფიაში ........ 27


## იურისპრუდენცია

*ნ. ცაცუა.* პოლიცია და საზოგადოებრიობა ........ 33
*მ. მათიაშვილი.* ხელისუფლების დანაწილება და საპარლამენტო კონტროლი ........ 39
*მ. ასკეროვა.* ტერმინ "ნათესავის" გამოყენების ზოგიერთი საკითხი როგორც გარანტია სამართალწარმოების პრაქტიკის მიუკერძოებლობისა ........ 50


## ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია

*მ. გასვიანი.* რუსული დიპლომატიური წარმომადგენლობის დაარსება ახლო აღმოსავლეთში (იერუსალიმის საკონსულო და "რუსული სასულიერო მისია იერუსალიმში" XIX ს-ის I ნახევარი) ........ 51
*გ. ხუნდაძე.* პეტრე დემიანის-ძე ზივილეისკი საქართველოში ........ 56
*ა. ჩაჩხიანი.* სადაზღვის ბრძოლის ტაქტიკური ასპექტები სომხეთ-საქართველოს ომში ........ 64
*მ. ნებიერიძე-ვაჩნაძე.* საქართველოში რუსიფიკატორული რეჟიმის უკანასკნელი ბოდბელი – იოანე მაყაშვილი (1796-1837) ........ 76
*მ. გუგუტიშვილი, ი. ჩხარტიშვილი. მ. ხუციშვილი.* ქრისტიანობის გავრცელების ისტორიიდან კავკასიაში – ოსეთის სასულიერო კომისია ........ 83
*ს. ხოფერია.* სოციალისტური იდეის რუსული მოდელი ბოლშევიკური პარტიის მენტალიტეტში (ე.წ. "სოციალიზაციის სტალინური გეგმა") ........ 92
*ე. კოპალიანი, ზ. სულაბერიძე.* ქართული ეკლესია-მონასტრები პ. ბუტკოვის აღწერილობის მიხედვით .. 96
*პ. პასანოვი.* "ისტორიის ფილოსოფიის" გაგების აპარატი და "ისტორიის დასასრულის" პრობლემა ..... 116


## კულტურა

*ა. მგალობლიშვილი.* თანამედროვე ბერძნული მხატვრობა (XIX-XX სს.) ........ 118
*დ. გუჯაბიძე.* "ხანუმა" – თბილისის უკვდავი სახე, ანუ თეატრის პორტრეტი "სარდაფის" ინტერიერში ...... 127
*ნ. ჟვანია.* ნაწარმოების ბედი კ. შტოქჰაუზენის "ლუციფერის სიზმარი, ანუ კლავირშტუკი XIII" ........ 128
*ა. წერეთელი.* გულსაკიდი ჯვარი ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრიდან ........ 135
*ნ. ბურდული.* სამეკლესიანი ბაზილიკების პასტოფორიუმთა გეგმარებითი სქემები საქართველოსა და სომხეთში ........ 141
*ნ. მერებაშვილი.* იმპრესიონიზმი და მისი განვითარების თავისებურებანი ქართულ ფერწერაში ........ 147
*ს. ჩიტორელიძე.* კუზნეცოვების საგვარეულო ფირმების კერამიკული ნაწარმი ........ 152
*ქ. სახვაძე.* ს. ვირსალაძე და ქართული ნაციონალური ბალეტი ........ 157
*ქ. ჟორჟოლიანი, ი. ახვლედიანი.* კრიალოსნები XVII-XIX ს.ს. ქართულ საერო ყოფაში ........ 161
*ლ. ჩხეიძე.* სიმეტრიის კანონები ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ........ 173

## ენათმეცნიერება


*რ. რამიშვილი.* სპარსული ნასესხობანი ........ 174

*ნ. ბუქსიანიძე.* ზმნის ნიშნები ინფინიტიურ ნომინალიზებაში ფაქტიტიური და ინფინიტიური ტრანსფორმაცია ........ 178

*ი. ლობჟანიძე.* ექსპერიმენტული ფონეტიკის კომპიუტერული კვლევის მეთოდის შესახებ ........ 185

*მ. ჩაჩიბაია.* მარტირიუს-საჰდონა და მისი თხზულება "წიგნი სრულყოფისა" (VII ს.) ........ 190

*ქ. სოხაძე.* პროტოხეთური სტრუქტურებიდან შუმერული ნასესხობისაკენ ........ 198

*ს. ბერიკაშვილი.* ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპი ძველი ბერძნული ენის უახლეს გრამატიკებში ........ 203

*მ. კინწურაშვილი.* ინტერტექსტის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ........ 208

*თ. კიღურაძე.* ენობრივი კოდის ცვლა ქართულენოვან გარემოში ........ 211

*ქ. ნიკოლაძე.* დიმინუციური სუფიქსების როლი ოკაზიონალური დერივატების წარმოებაში (ქ. მორგენშტერნის პოეზიის მაგალითზე) ........ 218

*ი. ყრუაშვილი.* ოკაზიონალიზმები გერმანულ ენაში ........ 223

*თ. ჯოჯუა.* ინგლისური და ქართული ზმნების გრამატიკული დრო-ასპექტის შეპირისპირებით ანალიზი ..... 227


## ლიტერატურა


*ი. მოდებაძე, თ. ციციშვილი.* ქართველოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობითი მონაცემთა ბაზის რედაქტირების თავისებურებანი და პრობლემები ........ 235

*ტ. მეგრელიშვილი.* პიროვნება და მისი ასახვა რუსული საზღვარგარეთის ლიტერატურულ მემუარებში (ნ. ბერბეროვა "ჩემი კურსივი", ი. ოდოევცევა "სენას ნაპირებზე") ........ 245

*მ. იანტბელიძე.* ვაჟა-ფშაველას შემოქმედების, კერძოდ "გველის მჭამელის" და ფრიდრიხ ნიცშეს "ესე იტყოდა ზარატუსტრას" ურთიერთმიმართებისათვის ........ 247

*ნ. მრევლიშვილი.* დროის კატეგორიის გამომხატველი ძირითადი ტერმინები ეკლესიასტეს განმარტების გელათურ თარგმანებში ........ 254

*ო. ონიანი.* მითოსური გადმოცემა "ჯამახგრსა" (ანალიზი) ........ 263

*ზ. ცხადაია.* 70-იანი წლების ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენციები (მ. მაჭავარიანი, მ. ლებანიძე, ა. კალანდაძე, მ. ქვლივიძე, მ. ფოცხიშვილი) ........ 269

*ს. გიქოშვილი.* გიორგი შატბერაშვილი – ფოლკლორისტი ........ 277

*თ. ცერაძე.* ქართული ტოპონიმი პალესტინაში: ტკებნარის მონასტერი ........ 282

*თ. მებუკე.* "თავისუფალი არჩევანის" არქეტიპი (არქეტიპის დასაბუთებისათვის) ........ 286


## ფსიქოლოგია


*მ. სირბილაძე.* ლინგვისტური უნარის ასაკობრივი ასპექტი ........ 291

*დ. პაპინაშვილი.* უკუკავშირის იმპლიციტური შინაარსი და მისი გავლენა მოტივაციურ პროცესზე ...... 295

*დ. პაპინაშვილი.* სოციალურ უკუკავშირთა ზეგავლენა აქტივობის მიმართ ატიტუდის ჩამოყალიბებაზე ..... 301

*ლ. ხეჩუაშვილი.* დეპრესიის მაჩვენებლები ერექციული დისფუნქციის დროს ........ 307

*ა. ყარაულაშვილი, თ. გაგოშიძე, შ. მამუკაძე, თ. ჭინჭარაული.* ეპილეფსია როგორც ქრონიკული დაავადება. დაავადების შინაგანი სურათი ........ 316

*მ. თედიაშვილი.* კულტურული ღირებულებების ასახვა რეკლამაში ........ 324


## ბიბლიოთეკათმცოდნეობა


*ი. ფილაური.* საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები ........ 340


## ინფორმატიკა


*მ. ხარაზიშვილი.* პედაგოგიური ინფორმატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ ........ 347

# СОДЕРЖАНИЕ

## ПОЛИТОЛОГИЯ


*С. Гогилава.* Избирательная система и процессы в Грузии ..... 12

*Р. Мампория.* Терроризм на Северном Кавказе и Грузия ..... 15


## СОЦИОЛОГИЯ


*М. Лобжанидзе.* Социализация и гендерный дисбаланс ..... 20


## ФИЛОСОФИЯ


*М. Кавтарашвили.* Миф и реальность имиджа – философия игры или игра в реальность ..... 23

*М. Кавтарашвили.* Философия войны и мира в условиях массовой коммуникации ..... 25

*Т. Оркодашвили.* Искусство как символическая форма в философии символических форм Е. Кассирера ..... 31


## ЮРИСПРУДЕНЦИЯ


*Н. Цацуа.* Полиция и общественность ..... 37

*М. Матиашвили.* Разделение власти и парламентский контроль ..... 45

*М. Аскерова.* Некоторые вопросы применения понятия "родственник" как одного из гарантий беспристрастности правоприменительной практики ..... 47


## ИСТОРИЯ, АРХЕОЛОГИЯ, ЭТНОГРАФИЯ


*М. Гасвиани.* Основание дипломатического представительства России на Ближнем Востоке (Консульство в Иерусалиме – "Русская духовная миссия в Иерусалиме" в I половине XIX века) ..... 55

*Г. Хундадзе.* Петр Завилейский в Грузии ..... 62

*А. Чачхиани.* Тактические аспекты Садахлинской битвы в Армяно-Грузинской войне ..... 73

*М. Небиеридзе-Вачнадзе.* Последний Бодбийский митрополит – Иоанн Макашвили при русификаторском режиме в Грузии (1795-1837) ..... 81

*М. Гугутишвили, И. Чхартишвили. М. Хуцишвили.* Из истории распространения христианства на Кавказе - Осетинская духовная комиссия ..... 90

*С. Хоперия.* Русская модель социалистической идеи в менталитете большевистской партии (т. н. "Сталинский план социализации") ..... 95

*Э. Копалиани, З. Сулаберидзе.* Грузинские церкви и монастыри по описанию П. Г. Буткова ..... 111

*Г. Гасанов.* К понятийному аппарату "философии истории" и проблема "конца истории" ..... 112


## КУЛЬТУРА


*А. Мгалоблишвили.* Современная греческая живопись (XIX-XX вв.) ..... 121

*Д. Гуджабидзе.* "Ханума" – бессмертный образ тбилисского образа жизни или портрет театра в интерьере "Подвала" ..... 122

*Н. Жвания.* Судьба произведения К. Штокхаузен "Сон Люцифера, или Клавирштук XIII" ..... 133

*К. Церетели.* Нагрудный Крест из монастыря Богородицы с. Улумба ..... 139

*Н. Бурдули.* Схемы планировки пастофорий трехцерковных базилик в Грузии и Армении ..... 146

*Н. Меребашвили.* Импрессионизм и особенности его развития в грузинской живописи ..... 150

*С. Читорелидзе.* Изделия фирмы Кузнецовых ..... 156

*К. Сахвадзе.* С. Вирсаладзе и грузинский национальный балет ..... 159

*К. Жоржолиани, И. Ахвледиани.* Четки в быту Грузии XVII–XIX в.в. ..... 169

*Л. Чхеидзе.* Отражение законов симметрии в грузинской народной хореографии ..... 170

## ЯЗЫКОЗНАНИЕ

*Р. Рамишвили.* Персидские заимствования ... 177
*Н. Буксианидзе.* Глагольные знаки при номинализации, фактическая и инфинитивная трансформация ... 183
*И. Лобжанидзе.* О методе компьютерного исследования экспериментальной фонетики ... 188
*М. Чачибая.* Мартириус-Сахдона и его сочинение "Книга совершенств" (VII в.) ... 196
*К. Сохадзе.* От протохеттских структур к шумерским заимствованиям ... 201
*С. Берикашвили.* Принцип классификации системы склонения в современных грамматиках древнегреческого языка ... 206
*М. Кинцурашвили.* Типология интертекста ... 209
*Т. Кигурадзе.* Вопрос о переключении с одного языкового кода на другой в грузинскоговорящей среде ... 217
*К. Николадзе.* Роль диминутивных суффиксов при образовании окказиональных дериватов ... 221
*И. Круашвили.* Окказионализмы в немецком языке ... 226
*Т. Джоджуа.* Сопоставительный анализ грамматических видовременных форм английского и грузинского глагола ... 233

## ЛИТЕРАТУРА

*И. Модебадзе, Т. Цицишвили.* Специфика и проблемы редактирования картвелологической базы данных ... 237
*Т. Мегрелишвили.* Личность и её воплощение в литературных мемуарах Русского Зарубежья (Н. Берберова "Курсив мой", И. Одоевцева "На берегах Сены") ... 239
*М. Янтбелидзе.* К взаимоотношению творчества Важа-Пшавела, в частности, "Змеееда" и Фридриха Ницше "Так говорил Заратустра". ... 252
*Н. Мревлишвили.* Основные термины, отображающие категорию времени в гелатских переводах Откровения ... 261
*О. Ониани.* Мифическое предание "Джамахерса" (Анализ) ... 268
*З. Цхадая.* Основные тенденции грузинской поэзии 70-х годов ... 275
*С. Гикошвили.* Георгий Шатберашвили — фольклорист ... 280
*Т. Церадзе.* Грузинский топоним в Палестине: Ткебнарский монастырь ... 284
*Т. Мебуке.* Архетип "свобода выбора" (к обоснованию архетипа) ... 289

## ПСИХОЛОГИЯ

*М. Сирбиладзе.* Возрастной аспект лингвистической способности ... 293
*Д. Пипинашвили.* Влияние имплицитного содержания обратной связи на мотивационный процесс ... 299
*Д. Пипинашвили.* Влияние социальных обратных связей на процесс формирования установки по отношению определённой активности ... 305
*Л. Хечуашвили.* Показатели депрессии во время эрективных дисфункций ... 314
*А. Караулашвили, Т. Гагошидзе, Ш. Мамукадзе, Т. Чинчараули.* Эпилепсия как хроническое заболевание. Внутренняя картина болезни ... 322
*М. Тедиашвили.* Отражение культурных ценностей в рекламе ... 338

## БИБЛИОТЕКОВЕДЕНИЕ

*И. Пилаури.* Правовая база защиты библиотечных фондов ... 344

## ИНФОРМАТИКА

*М. Харазишвили.* О некоторых вопросах педагогической информатики ... 345

# CONTENTS

## POLITOLOGY

*S. Gogilava.* Electoral system and processes in Georgia ........ 13
*R. Mamporia.* Terrorism in North Caucasus and Georgia ........ 16

## SOCIOLOGY

*M. Lobzhanidze.* Socialization end genderal disbalans ........ 20

## PHILOSOPHY

*M. Kavtarashvili.* Myth and Reality of Image – Philosophy of Game or Game in a Reality ........ 23
*M. Kavtarashvili.* Philosophy of War and Peace in Conditions of a Mass Communication ........ 26
*T. Orkodashvili.* The Art as a Symbolic Form in the Philosophy of Symbolic Forms by E. Cassirer ...... 32

## JURISPRUDENCE

*N. Tsatsua.* The Police and Publicity ........ 37
*M. Matiashvili.* Division of Power and the Parliamentary Control ........ 46
*M. Askerova.* Some Questions on the Application of the Notion "Relative" as one of the Guarantees of the Impartiality Practice of Law Implementation ........ 50

## HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOGRAPHY

*M. Gasviani.* Foundation of Russian Diplomatic Representatives in the Near East ("Consulate of Jerusalem" and Russian Holly Mission in Jerusalem in the First Half of the 19th Century) ........ 55
*G. Khundadze.* P. Zavileiski in Georgia ........ 62
*A. Chachkhiani.* Tactical Aspects of Sadakhlo Battle in the Armenian-Georgian War ........ 74
*M. Nebieridze-Vachnadze.* The Last Bodbeli – Ioane Maqashvili during the Rusificatory Regime in Georgia (1795-1837) ........ 82
*M. Gugutishvili, I. Chkhartishvili, M. Khutsishvili.* From the History of Propagation of Christianity in the Caucasus – Theological Commission of Ossetia ........ 90
*S. Khoperia.* Russian Model of Social Idea in the Mentality Of Bolshevik Party (So Called Stalin Plan of Socialization) ........ 95
*E. Kopaliani, Z. Sulaberidze.* The list of Georgian Churches and Monasteries by P. Butkov ........ 111
*G. Gasanov.* Towards the Understanding Apparatus of the "Philosophy of History" and the Problem of "The end of History" ........ 116

## CULTURE

*A. Mgaloblishvili.* Modern Greek Painting (19th-20th C.C.) ........ 121
*D. Gujabidze.* "Khanuma" – the Immortal Image of the Tbilisi or the Portrait of the Theatre in "Basement" Interior ........ 127
*N. Jvania.* The Fate of a Piece of Music. K. Stockhausen. "Lucifer's Dream, or "Piano Piece XIII"" .. 134
*K. Tsereteli.* Breast Gross from the Convent of the Virgin in Village Ulumba ........ 139
*N. Burduli.* Planning Schemes of Triple-Chapel Basilica Pastoforiums in Georgia and in Armenia ...... 146
*N. Merebashvili.* Impressionism and His Peculiarity of Development in Georgian Painting ........ 151
*S. Chitorelidze.* Kuznetsovs' Patrimony Firms' Porcelains ........ 156
*K. Sakhvadze.* S. Virsaladze and Georgian National Ballet ........ 159
*K. Zhorzholiani, I. Akhvlediani.* Beads in Everiday Life of the 17th-19th Centuries Georgia ........ 169
*L. Chkheidze.* Reflections of the Rules of Symmetry in Georgian Folk Choreography ........ 173

## LINGUISTICS

*R. Ramishvili.* The Persian Loan-Words ........ 177
*N. Buksianidze.* The Verb Marks in an Infinitive Nominalization, Factitive and Infinitive Transformation .. 183
*I. Lobzhanidze.* Towards the Method of Computer Analysis of the Experimental Phonetics ........ 189
*M. Chachibaia.* Martyrius-Sahdona and His Work "Liber Perfection" (7th Century) ........ 196
*K. Sokhadze.* From Protohittite Structure to the Shumerian Borrowings ........ 202
*S. Berikashvili.* The Principles of the Classification of the Declination System in the Modern Grammatics of Ancient Greek ........ 207
*M. Kintsurashvili.* The Typology of Intertext ........ 210
*T. Kiguradze.* Code-switching in Georgian Discourse ........ 217
*K. Nikoladze.* The Role of Diminution Suffixes at the Produktion of Occasional Derivate ........ 222
*I. Kruashvili.* Nonce Words in German Language ........ 226
*T. Jojua.* Comparative Analysis of English and Georgian Tense-Aspect Forms ........ 233

## LITERATURE

*I. Modebadze, T. Tsitsishvili.* Specifics and Problems of the Editing of Kartvelological Literary Study Database ........ 237
*T. Megrelishvili.* Personality and Its Incarnation in Literary Memoirs of Russian Abroad (N. Berberova "My Italics", I. Odoyevtseva "On Banks of Sena") ........ 245
*M. Ianthelidze.* For Relations between Vazha-Pshawela's Literary Activities, Exactly, "Snake Eater" and Fridrikh Nitsshe's "So Would Say Zaratustra" ........ 253
*N. Mrevlishvili.* Basic Terms For Time Category Expression in Gelatic Translations of Ecleciastus Elucidation ........ 261
*O. Oniani.* Mythical Legend "Jamakhersa" (Analysis) ........ 268
*Z. Tskhadaia.* The Main Trends of the Georgian Poetry of the 1970's ........ 276
*S. Gikoshvili.* Georgi Shatberashvili – the Folklorist ........ 280
*T. Tseradze.* Georgian Placename in Palestine: Tkebnari Monastery ........ 285
*T. Mebuke.* Archetype "Freedom of Choice" (Stating the Archetype) ........ 289

## PSYCHOLOGY

*M. Sirbiladze.* The Age Aspect of Linguistic Aptitude ........ 294
*D. Pipinashvili.* Affects of Implicit Content of Feedback on Intrinsic Motivation ........ 300
*D. Pipinashvili.* Effects of Social Feedback on the Process of Attitude Formation Toward an Unfamiliar Activity ........ 306
*L. Khechuashvili.* Depression Indicators Linked To Male Erectile Dysfunction ........ 314
*A. Karaulashvili, T. Gagoshidze, Sh. Mamukadze, T. Chincharauli.* Epilepsy as a Chronic Disease. The Internal Picture of the Disease ........ 323
*M. Tediashvili.* Reflection of Cultural Values in Advertisements ........ 338

## LIBRARY SCIENCE

*I. Pilauri.* The Legal Foundations of Protections of Library Funds ........ 344

## INFORMATION SCIENCES

*M. Kharazishvili.* On Some Questions of Pedagogic Computer Science ........ 348

კავკასიის მაცნე, №12, 2005
KAВКАЗСКИЙ ВЕСТНИК, №12, 2005
CAUCASIAN MESSENGER, №12, 2005

ს. ბერიკაშვილი

# ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპი ძველი ბერძნული ენის უახლეს გრამატიკებში

ბრუნების სისტემის კლასიფიკაცია სხვადასხვა ენაში განსხვავებულ პრინციპებს ეყრდნობა და დიდ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს მეტყველების ერთი ნაწილის ფარგლებშიც კი. ინდოევროპულ ენებში სახელის ბრუნების ტიპები, ძირითადად, სახელის ფუძეზეა დამოკიდებული. ამასთანავე, ბრუნების ტიპი განისაზღვრება სახელის ხმოვან ან თანხმოვანფუძიანობით. მაგალითად, გამოიყოფა a ფუძიანი, o ფუძიანი, s ფუძიანი ბრუნება და ა. შ. სხვადასხვა ბრუნება ასევე შეიძლება გამოიყოს რომელიმე ბრუნვის ნიშნის მიხედვით. მაგალითად, მხოლობითი რიცხვის გენეტივის ფორმის მიხედვით და ა. შ.

ისტორიული განვითარების შედეგად ბრუნების სისტემა შეიძლება გამარტივდეს და უნიფიცირება განიცადოს. ზოგიერთ ენაში ბრუნების სისტემა შეიძლება საერთოდ გაქრეს. თანაც, სისტემის დაშლა არსებით სახელებში უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ნაცვალსახელებში. ბრუნების გაქრობა, ძირითადად, იმის მომასწავებელია, რომ ენაში ანალიტიკური გამოხატვის საშუალებები ვითარდება, რის შედეგადაც ბრუნვათა ფლექსიის ფუნქციას დამხმარე სიტყვები (არტიკლი, წინდებული) ასრულებენ.

ბერძნული ენის ბრუნების სისტემამ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დიდი ცვლილებები განიცადა. თავდაპირველად ბერძნულ ენაში ბრუნების სისტემა ეყრდნობოდა ე. წ. ლინგვისტურ საფუძველს, ანუ ფუძის დაბოლოებას, შემდგომში კი იგი დაუკავშირდა სქესის გრამატიკულ კატეგორიას, ანუ მას საფუძვლად მნემოტექნიკური პრინციპი დაედო.

რა მდგომარეობა გვაქვს, ამ მხრივ, ძველი ბერძნული ენის უახლეს გრამატიკებში? XX საუკუნის ძველი ბერძნულ ენის გრამატიკებიდან განვიხილავთ ჩვენ ხელთ არსებულ გრამატიკებს, ესენია: ვ. ბრანდენშტაინის "ბერძნული ენათმეცნიერება" (W. Brandenstein "Griechische Sprachwissenschaft"), მ. მაიერ-ბრიუგერის "ბერძნული ენათმეცნიერება (M. Meier-Brügger "Griechische Sprachwissenschaft"), პ. შანტრენის "ბერძნული ენის ისტორიული მორფოლოგია" (P. Chantraine "Morphologie historique du Grec"), ა. ძარძანოსის "ძველი ბერძნული ენის გრამატიკა" (A. Τζαρτζανου, "Γραμματική της Αρχαίας Ελληνικής γλώσσης"), ი. სტამატაკოსის "ძველი ბერძნულის ისტორიული გრამატიკა" (I. Σταματακου, "Ιστορική γραμματική της Αρχαίας Ελληνικής").[1]

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ძველი ბერძნული ენის გრამატიკას არ წარმოადგენს, მაგრამ ბერძნულ ენის შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ეს ნაშრომია ჰ. კრაეს "ინდოევროპული ენათმეცნიერება" (H. Krahe "Indogermanishe Sprachwissenshaft").

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ყველა გრამატიკა მიჰყვება ბრუნების სისტემის ტრადიციულ დაყოფას, ე. ი. ყველგან გამოყოფილია სამი ბრუნება ანუ სამი კანკლედობა, ფუძეთა დაბოლოებების მიხედვით. ერთადერთი განსხვავება, რომელიც გვხვდება ამ გრამატიკებში ის არის, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბრუნების სამი ტიპის გამოყოფისას მათ სხვადასხვა სახელწოდებას ანიჭებს. ასე, მაგალითად, ი. სტამატაკოსი გვთავაზობს შემდეგნაირ დაყოფას: ორი ხმოვანდაბოლოებიანი ბრუნება (α და ο ფუძიანი) და ერთი თანხმოვანდაბოლოებიანი: "Επί τη βάση του τελευταίου γράμματος του θέματος (δηλ.του χαρακτήρος) διακρίνομεν δύο φωνηεντολήκτους κλίσεις και μίαν συμφωνόλικτον"[2] [1:111]. თუმცა, როგორც ჩანს მკითხველისათვის გასამარტივებლად აქვე მიღებულ, ტრადიციულ დასახელებებს ახსენებს:

---

1 არ განვიხილავთ ძველი ბერძნული ენის სხვადასხვა სახელმძღვანელოს, რომელნიც დიდი რაოდენობით არის გამოცემული და ფაქტიურად არსებული გრამატიკების საფუძველზეა შედგენილი.

2 "ფუძის ბოლო ბგერის საფუძველზე გამოვყოფთ ორ ხმოვანდაბოლოებიან ბრუნებას და ერთ თანხმოვან-დაბოლოებიანს"

"α) Την κλίσιν των ο-θεμάτων, την κλίσιν δηλ. των δευτεροκλίτων ονομάτων, την δευτέραν κλίσιν (όπως συνήθως καλείται).

β) Την κλίσιν των α-θεμάτων (την πρώτην κλίσιν).

γ) Μίαν συμφωνόληκτον κλίσιν (την λεγόμενην τρίτην κλίσιν)"[1] [1:111].

პ. შანტრენის თანახმად, ბერძნული ენის ბრუნების სისტემა აგრძელებს ინდოევროპულ სისტემას. ჩვეულებრივ, ფაქტები, რომლებსაც ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ბრუნების სისტემაში სამ ტიპად შეიძლება დაიყოს. ერთ-ერთი მათგანი თემატურ ბრუნებას წარმოადგენს (λύκος ტიპი), სადაც თემატური ხმოვანი გვიჩვენებს e/o მონაცვლეობას. ამას უპირისპირდება ათემატური ბრუნება, რომელიც მკვეთრად განსხვავდება თემატური ბრუნებისაგან: აქ დაბოლოებები ადვილად სცილდება ფუძეს და ელემენტი, რომელიც წინ უსწრებს დაბოლოებას ექვემდებარება რაოდენობრივ და ტემბრისებრ მონაცვლეობას, მახვილის ადგილი იცვლება. ეს ტიპია θήρ, θηρός πούς, ποδός πόλις, πόλιος, πόλεως. მესამე ბრუნებას შეადგენს სახელები, რომლებიც α-ზე ბოლოვდება და გარკვეულ წილად ათემატური ბრუნების მსგავსად იბრუნვის: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იგივეა, ხდება ხმოვნის მონაცვლეობა და იცვლება მახვილის ადგილი. სხვამხრივ იგი თემატურ ბრუნებას მიჰყვება: ასე, მაგალითად, მიცემითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ფორმა და სახელობითი და მიცემითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმა [2:22].

დ. კუდრიავსკის აზრით, სამივე ბრუნება შეიძლება დავიყვანოთ ერთ ბრუნებაზე, სადაც დაბოლოებები ფუძეების შესაბამისად იცვლება. ამას იგი ბერძნული ენის დიალექტების და ინდოევროპული ენების შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე ადგენს. ავტორი ამ ერთი ბრუნების დაბოლოებების სქემასაც გვთავაზობს:[2] [3:31].

| | **მამრ./ მდედრ.** | **მამრ./ მდედრ.** | **საშ. სქესი** | |
|---|---|---|---|---|
| | მხ.რ. | მრ.რ. | მხ.რ. | მრ.რ. |
| **Nom.** | -, -ς | -ες (οι, -αι) | -, -ν | -α |
| **Gen.** | -ος, -ς, -(ι)ο | -ων | | |
| **Dat.** | -αι, -ι | -σι (-οις, -αις) | | |
| **Acc.** | -ν, -α | -νς, -ας | | -α |
| **Voc.** | - | = Nom. | | |

| | **ორ. რ.** |
|---|---|
| **Nom. Acc. Voc.** | -ε (-ω, -α) |
| **Gen. Dat.** | -οιν (-αιν) |

პირველ ბრუნებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განეკუთვნება α ფუძიანი სახელები მდედრობითი და მამრობითი სქესის სახელები. ისინი ორგვარი წარმომავლობის არიან: ერთნი მიმდინარეობენ საერთო ინდოევროპული ფუძე ენის გრძელ α-ზე, ხოლო მეორენი - ფუძე ენის მოკლე -ια-ზე დაბოლოებული სახელებიდან. პირველმა ჯგუფმა ფუძის ბოლოს მოგვცა (ატიკურ დიალექტში ε, ι, ρ-ს შემდეგ η კვლავ α-ში გადავიდა), ხოლო მეორე ჯგუფმა მოგვცა მოკლე ხმოვანი α [4:36].

ძველი ბერძნულის უახლესი პერიოდის გრამატიკებში ჩამოყალიბდა კლასიფიკაციის ამგვარი წესი: პირველი ბრუნების სახელებს აქ ჰყოფენ α purum-იან ("წმინდა"), ანუ ძლიერი α-თი დაბოლოებულ და α impurum-იან ("არაწმინდა"), ანუ სუსტი α-სა და η-ზე დაბოლოებულ სახელებად. მაგრამ ასეთი კლასიფიკაცია არ გვხვდება ამ პერიოდის ყველა გრამატიკაში. ასე, მაგალითად, ა. ძარძანოსი საერთოდ არ მსჯელობს α purum-იან და α impurum-იან სახელების შესახებ. მართალია, იგი გვთავაზობს პირველი ბრუნების სახელთა ყველანაირ დაბოლოებებს, მაგრამ არ ხსნის მათ [5:27-29]. დ. კუდრიავსკი პირველი ბრუნების სახელებში სამი ტიპის ბრუნებას

1 "ა) ο ფუძიანი ბრუნება, ანუ მეორე ბრუნების სახელების ბრუნება, მეორე ბრუნება (როგორც ხშირად უწოდებენ მას); ბ) α ფუძიანი ბრუნება (პირველი ბრუნება); გ) თანხმოვანდაბოლოებიანი ბრუნება (ე.წ. მესამე ბრუნება)"

2 მართალია დ. კუდრიავსკის ნაშრომი სახელმძღვანელოს წარმოადგენს, მაგრამ მასში რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას ვხვდებით. ამიტომ, მიზანშეწონილად მივგაჩნია ამ ნაშრომსაც შევეხოთ

გამოყოფს, კერძოდ, η-ზე, α-სა და α-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნებას. თანაც აღნიშნავს, რომ მოკლე α ძირითადად -jα სუფიქსის შემადგენლობაში შედის, რომლის საშუალებით მრავალი ზედსართავი იწარმოება [3:34].

ჩვეულებრივი პირველი ბრუნების გარდა, ძველ ბერძნულში გვქონდა შერწყმული პირველი ბრუნებაც, სადაც გაერთიანებული იყო ის სახელები, რომლებსაც ფუძისეული ხმოვნის წინ ჰქონდა ისეთი ხმოვანი, რომელსაც, თავის მხრივ, ფუძისეული ხმოვანი ერწყმოდა (მაგ.:ἡ γῆ–γέα). ამ თვალსაზრისით, არსებულ გრამტიკებში სრული ერთიანობა სუფევს.

მეორე ბრუნებას განეკუთვნება ο-ზე დაბოლოებული სახელები, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი და საშუალო სქესისა. ამ ბრუნებას თემატურ ბრუნებასაც უწოდებენ და იგი ბერძნული ენის სახელის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სავარაუდებელია, რომ ეს ფლექსია ინდოევროპულ ენაში სხვა ტიპებთან შედარებით უფრო გვიან წარმოიშვა. როგორც ჩანს, იგი ბერძნული ენის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და მისი სფერო ძველი ათემატური (მესამე ბრუნების) სახელების საშუალებით ფართოვდებოდა, მაგალითად, πτωχός πτώξ-იდან, υἱος υἱύς-ის ნაცვლად და ა. შ. [2:23].

ინდოევროპულ ენაში ამ თემატურ ტიპს მიეკუთვნებოდა მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელები. იგივე მდგომარეობა შენარჩუნებულია ბერძნულ ენაში. თუმცა, ზედსართავი სახელის სისტემის ზეგავლენის შედეგად დაიწყეს ამ ფლექსიის გაიგივება მხოლოდ მამრობითი სქესის სახელებთან.

ამ ბრუნების მთავარი მახასიათებელი ნიშანი არის ο/e ბგერების მონაცვლეობა, რომელიც თავს იჩენს წოდებით ბრუნვაში. ამიტომ, წოდებითი ბრუნვის ნიშანი -ε არ უნდა აგვერიოს ბრუნვის ნიშანში, იგი ფუძისეული ο-ს აბლაუტის ε საფეხურია. ნულოვანი საფეხური ბრუნების დროს თავს არ იჩენს.

მეორე ბრუნება ანუ კანკლედობა სამი სახისა არის: ა) მარტივი, ბ) შერწყმული და გ) ატიკური. თუმცა ეს დაყოფაც ყველა გრამატიკაში ერთნაირად როდია დაცული. ასე, მაგალითად, ა. კოზარჟევსკი მეორე ბრუნებაში რაიმე ქვეპუნქტებს არ გამოჰყოფს. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მეორე ბრუნებას ο ფუძიანი სახელები მიეკუთვნება. ი. სტამატაკოსი მეორე ბრუნებას სამ ნაწილად ჰყოფს, ოღონდ არა ტრადიციულ სახეებად, არამედ სქესის მიხედვით: ჯერ მამრობით სახელებს განიხილავს, შემდეგ მდედრობითსა და საშუალოს [1:111-118].

მეორე კანკლედობის შერწყმულ ბრუნებას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოყოფდა ნ. ფოკოვი [6:23]. ძველი ბერძნულის უახლეს გრამატიკულ ლიტერატურაშიც მრავალი მეცნიერი მსჯელობს შერწყმულ ბრუნებაზე. რაც შეეხება ატიკურ ბრუნებას, მას განეკუთვნება რამდენიმე არსებითი სახელი, რომელთა ფუძე ბოლოვდება ω-ზე.

მესამე ბრუნებას განეკუთვნება თანხმოვანფუძიანი და ცალკეულ ხმოვნებზე დაბოლოებული სამივე სქესის სახელები. აქ შედის:

ა) ლიკვიდურ-ნაზალურფუძიანი სახელები (ν, ρ)

ბ) ლაბიალურ-გუტურალურფუძიანი სახელები (β, π, φ, γ, κ, χ)

გ) დენტალურფუძიანი სახელები (δ, τ, θ)

დ) საშუალო სქესის ματ ფუძიანი სახელები

ე) ντ ფუძიანი სახელები

ვ) σ ფუძიანი სახელები

ზ) ι ფუძიანი სახელები

თ) υ ფუძიანი სახელები

ი) ευ ფუძიანი სახელები

კ) ω ფუძიანი სახელები

მესამე ბრუნებას სხვანაირად ათემატურ ბრუნებას უწოდებენ. ეს ბრუნება უპირისპირდება თემატურ ბრუნებას და მას მეტწილად არქაული ხასიათი აქვს. ეს ფლექსია გართულებული იყო დაბოლოების წინა ელემენტის გახმოვანებითა და მახვილის ადგილის შეცვლით. ენის განვითარების პროცესში მოხდა მისი გამარტივება, ხოლო მოგვიანებით ამ ტიპის ბრუნების დაკრგვის ტენდენცია გაჩნდა. ბუნებრივია, ათემატური ბრუნების ფუძეები ორ ჯგუფად იყოფა: თანხმოვნებსა და ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები. მესამე ბრუნება თითქმის ერთნაირადაა მოცემული ყველა გრამატიკაში, თუ არ ჩავთვლით, ზოგ გრამატიკაში არსებულ მესამე ბრუნების ქვეჯგუფების თანმიმდევრობის შეცვლას.

ბრუნების ტიპების განხილვის შემდეგ თითოეულ გრამატიკაში არის თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები, თუმცა მათი რიცხვი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ძირითადი თავისებურად ბრუნებადი სახელებია: ἡ γυνή, ὁ υἱός, ἡ χείρ, ὁ πούς, ὁ ὀδούς, ἡ ἕως, τὸ ὕδωρ, τὸ φῶς, ὁ μάρτυς, τὸ πύρ, ὁ παῖς და სხვ.

წარმოებული კვლევის საფუძველზე წარმოჩინდა, რომ უახლესი პერიოდის ძველი ბერძნული ენის გრამატიკებში ყველგან მოცემულია ბრუნების სისტემის ტრადიციული დაყოფა, ე. ი. ძირითად პრინციპად აქ ლინგვისტური საფუძველი გვევლინება. ერთადერთი განსხვავება, რომელიც გვხვდება ეს ბრუნების ტიპების სხვადასხვა სახელწოდებებია. მაშასადამე, ძველ ბერძნულ ენაში ბრუნების სისტემა ეყრდნობა ლინგვისტურ საფუძველს, განურჩევლად იმისა, თუ როდის არის შედგენილი ესა თუ ის გრამატიკა: ანტიკურ პერიოდში, შუა საუკუნეებსა თუ უახლეს პერიოდში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ უკვე ჩანს ტენდენცია სახელების დაყოფისა ბრუნების დროს მამრობით, მდედრობით და საშუალო სქესის სახელებად, მაგრამ მხოლოდ ბრუნების ტრადიციული ტიპების ფარგლებში. ამის მაგალითს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ი. სტამატაკოსი გვთავაზობს. ის აქტუალური პრობლემა, რომელიც დღესდღეობით არსებობს ბრუნების ტიპების პრინციპების განსაზღვრისას ახალ ბერძნულ ენას ეხება და სქესის კატეგორიას უკავშირდება.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

С. БЕРИКАШВИЛИ

# ПРИНЦИП КЛАССИФИКАЦИИ СИСТЕМЫ СКЛОНЕНИЯ В СОВРЕМЕННЫХ ГРАММАТИКАХ ДРЕВНЕГРЕЧЕСКОГО ЯЗЫКА

*Резюме*

Статья касается принципов классификации склонения в греческом языке, а точнее, принципа, представленного в современных грамматиках древнегреческого языка. Были рассмотрены следующие грамматики: В. Бранденштайн "Греческое языкознание" (W. Brandenstein "Griechische Sprachwissenschaft"), М. Майер-Брюгер "Греческое языкознание" (M. Meier-Brügger "Griechische Sprachwissenschaft"), П. Шантрен "Историческая морфология греческого языка" (P. Chantraine "Morphologie historique du Grec"), А. Дзардзанос "Грамматика Древнегреческого языка" (A. Τζαρτζανου, "Γραμματική της Αρχαίας Ελληνικής γλώσσης"), И. Стаматакос "Историческая грамматика древнегреческого" (I. Σταματακου, "Ιστορική γραμματική της Αρχαίας Ελληνικής").

На основании рассмотренных данных мы можем заключить, что во всех грамматиках данного периода представлена традиционная система склонения, т. е. везде система склонения делится на три типа, в зависимости от окончания основы слова. Единственное различие, которое встречается в этих грамматиках, это различные наименования типов склонения. Не смотря на это, выделяется тенденция во время склонения (в рамках традиционного склонения) деления имен существительных по родам. Этот вопрос хорошо представлен у И. Стаматакоса, который во втором склонении выделяет три подгруппы в зависимости от рода имен существительных.

Главным принципом склонения в современных грамматиках древнегреческого языка является лингвистический принцип.

**S. BERIKASHVILI**

# THE PRINCIPLES OF THE CLASSIFICATION OF THE DECLINATION SYSTEM IN THE MODERN GRAMMATICS OF ANCIENT GREEK

*Summary*

The article applies to the principles of the classification of the declination system in Greek language, namely, to the principle that appears in the modern grammatics of Ancient Greek. The research was based on the following grammatics: V. Brandenshtein "Greek Linguistics" (W. Brandenstein "Griechische Sprachwissenschaft"), M. Meier-Brügger "Greek Linguistics" (M. Meier-Brügger "Griechische Sprachwissenschaft"), P. Shantren "Historical Morphology of Greek language" (P. Chantraine "Morphologie historique du Grec"), A. Tsartsanos "Grammar of Ancient Greek" (A. Τζαρτζανου, "Γραμματική της Αρχαίας Ελληνικής γλώσσης"), I. Stamatakos "Historical Grammar of Ancient Greek" (I. Σταματακου, "Ιστορική γραμματική της Αρχαίας Ελληνικής").

On the basis of considered grammatics we can state that in the modern period there is given the traditional declination system with its three types, according to the stem endings of the nouns. The only difference that we can see is - different names of the declination types. In spite of this, there is the tendency of distinguishing of the noun flexion by the cases, according to the gender. (within the framework of the tradtitional declination system). In the details it's given by I. Stamatoakos in his book "Historical Grammar of Ancient Greek", where he distinguishes three sub-groups of the second declination type, according to the gender of the noun.

The main principle of the classification of the declination system in the modern grammatics of Ancient Greek remains the linguistic principle.

**ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENSES**

1. *Σταματάκου Ι.* Ιστορική γραμματική της αρχαίας Ελληνικής, Αθήνα: Εκδοτικός οίκος Πέτρου Δημητράκου Α. Ε., 1949.
2. *Шантрен П.* Историческая морфология греческого языка. М.: Издательство иностранной литературы, 1953.
3. *Кудрявский Д.* Грамматика древнегреческого языка. Тарту: Тартуский государственный университет, 1964.
4. *გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს.* ძველი და ახალი ბერძნული (შედარებითი გრამატიკა). თბ.: ლოგოსი, 2001.
5. *Τζαρτζάνου Α.* Γραμματική της αρχαίας Ελληνικής γλώσσης, Αθήνα: Οργανισμός εκδόσεως διδακτικών βιβλίων, 1979.
6. *Фокковъ Н.* Учебникъ Греческаго языка. СПб, 1871.